

ადგილობრივი შესყიდვების ისტორია და თანამედროვე გამოწვევები
საქართველოში (მაგალითი გარდაბნის მუნიციპალიტეტი)

დეგრისაშვილი ლელა

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მოწვეული ლექტორი, ეგაძე რევაზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვები, როგორც კერძო ბიზნესში ასევე სახელმწიფო სექტორში სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ქვეყანაში ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების საქმეში. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების კვლევა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სექტორისთვის, რომლის მიზანია ნაკლოვანებათა აღმოჩენა და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, გარკვეული ზომების მიღება და რეკომენდაციების შემუშავება მათ აღმოსაფხვრელად. კვლევის ამოცანაა, შეგვესწავლა სახელმწიფო შესყიდვები სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის სექტორში, კრიტიკულად გავცნობოდით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საკანონმდებლო ბაზას, შეგვეფასებინა ჩატარებული ტენდერების ნაკლოვანებები, აღმოგვეჩინა შესყიდვების პროცესში წარმოებული დავების მიზეზები, შეგვესწავლა შემსყიდველი ორგანიზაციის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული ტენდერები და CMR მოდულში ერთ პირთან მოლაპარაკებით, გამარტივებული შესყიდვით წარმართული პროცედურები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარის პოვნა და გამოსასწორებლად რეკომენდაციების შემუშავება, შეგვესწავლა არსებული გამოწვევები, რის წინაშეც საქართველო 2014 წლიდან დგას ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად. სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს შემსყიდველი ორგანიზაციების მუშაობის პრინციპს სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში და წარმოაჩენს დადებით და უარყოფით მხარეებს. კვლევა ჩატარდა, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. მოვიძიეთ ინფორმაცია ტენდერებზე და გამარტივებულ შესყიდვებზე, გამოვლინდა შესყიდვების სფეროში რეფორმების წარმატებები და ნაკლოვანებები.

საძიებო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, სააგენტო, კერძო და სახელმწიფო სექტორი, ეფექტიანობა.

Abstract

State procurement is of strategic importance both in a private business and the state sector, it plays a major role in the development of business and economic development in the country. The study of the state procurement in Georgia has a particular importance, the purpose of which is the detection of defects and making some measures for their remedy and development of the recommendations.

The task of the research is to study state procurements in the state and local self-government sectors, making critical review of the legislative framework on "state procurement", to evaluate the shortcomings of the tenders, to find out the reasons of the disputes in the procurement process, to study tenders announced by the procurement organization (Gardabani municipality) and the procedures of simplified procurement carried out in negotiations with one entity in CMR modules, finding positive and negative sides and elaborating recommendations for remediation. To study the current challenges facing Georgia since 2014 to achieve the goal of EU integration. Master's thesis refers to the principle of working of the procurement organization and shows the positive sides. The research has been held based upon the statistical data. We have searched for information on the simplified procurements, the pros and cons of the reform in the field of procurement have been found out.

Key words: State procurement, agency, private and state sector, effectiveness.